

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N002/20¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

შალვა მხეიძე (სტუდენტი)

შეკითხვა: ადვოკატი სასამართლოში ერთ საქმეზე წარმოადგენდა მოსარჩელესა და მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. შუამდგომლობაზე მუშაობის დროს ადვოკატმა აღმოაჩინა, რომ პირს, რომელიც საქმეში ჩართული იყო დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, შეეძლო საქმეში ჩართულიყო, როგორც მესამე პირი, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. აღნიშნულის აღმოჩენის შემდეგ ადვოკატმა მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სთხოვა, შეეწყვიტა მის სახელზე გაცემული რწმუნებულება. აქედან გამომდინარე, წინამდებარე შემთხვევაში იქნება თუ არა სახეზე ინტერესთა კონფლიქტი, თუ ადვოკატი გააგრძელებს მოსარჩელის წარმომადგენლობას, რა დროსაც მოუწევს ოპონირება გაუწიოს მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

ანალიზი: წინამდებარე შემთხვევაში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ (**შემდეგში კომისია**) უნდა დაადგინოს არის თუ სახეზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (**შემდეგში აპკე**) 6.5 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევა. კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატს არ ეკრძალება რამდენიმე პირის წარმომადგენლობა სასამართლოში თუ იგი დარწმუნებულია, რომ მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან ამგვარი კონფლიქტის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. აქედან გამომდინარე, კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატი ვალდებულია რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობის შემთხვევაში, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებამდე გამოიკვლიოს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე; თუ იგი ამგვარად არ მოიქცევა, არის რისკი იმისა, რომ წარმომადგენლობის პროცესში იქნეს აღმოჩენილი ინტერესთა კონფლიქტი და ადვოკატს წარმოეშვას, თითოეული კლიენტისთვის, საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის ვალდებულება. გარდა ამისა, კომისიამ აღნიშნა, რომ წინამდებარე შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარეების ერთი ადვოკატის მიერ წარმოდგენა, თითოეული მხარის მიერ გაცემული ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაშიც კი დაუშვებელია ადვოკატმა გააგრძელოს რომელიმე კლიენტის წარმომადგენლობა.

დასკვნა: კომისიამ აღნიშნა, რომ წინამდებარე შემთხვევაში სახეზე იყო ინტერესთა კონფლიქტი და ადვოკატი ვალდებული იყო შეეწყვიტა ორივე კლიენტთან, მოსარჩელე და მესამე პირი, საადვოკატო მომსახურება, მიუხედავად მათი მხრიდან, წარმომადგენლობასთან მიმართებით, გაცემული ინფორმირებული თანხმობისა.

¹ რეკომენდაციის სრული ვერსია